საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად:

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

   1.1 **ასიმეტრიული მრავალსართულიანი რკინა-ბეტონის შენობების გაანგარიშება**
   - 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი;

   1.2 **სასრულ ელემენტთა ანალიზი** - 1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი;

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

   2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ასიმეტრიული მრავალსართულიანი რკინა-ბეტონის შენობების გაანგარიშების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს:

   - ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
   - განხორციელებული კვლევები შენობების დინამიკური, ასიმეტრიული მრავალსართულიანი რკინა-ბეტონის შენობების გაანგარიშების მიმართულებით;
   - განხორციელებული პროექტები შენობების დინამიკური, ასიმეტრიული მრავალსართულიანი რკინაბეტონის შენობების გაანგარიშების მიმართულებით;
   - უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 3 წლის;
   - სამეცნიერო ნაშრომები და პუბლიკაციები;
   - შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 8 წლის;
   - საკურსო პროექტების ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება;
   - თანამედროვე სააგნარიშო პროგრამების ცოდნა, როგორიცა: SAP2000, ETABS, Lira-SAPR; Tekla Structures ; Revit;
   - სამშენებლო ნორმებით მუშაობის გამოცდილება, როგორიცაა: სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01-09) და ევროკოდი 0, 1, 2 და 8.
   - ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

   2.2. ასისტენტ - პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სასრულ ელემენტთა ანალიზის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს:

   - ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი ან/და ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი;
   - უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 3 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: სასრულ ელემენტთა ანალიზი; სამშენებლო მექანიკა; დინამიკა და სეისმოდეგობა.
   - გამოქვეყნებული სტატიები;
   - კვლევითი საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 2 წელი;
   - სამეცნიერო/საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება;
- შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 7 წლის;
- თანამედროვე საანგარიშო პროგრამების ცოდნა, როგორიცა: SAP2000, ETABS, Lira-SAPR; Tekla Structures ; Revit.
- სამშენებლო ნორმებით მუშაობის გამოცდილება, როგორიცაა: სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01-09) და ევროკოდი 0, 1, 2 და 8.
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2026 წლის 26 ნოემბრიდან - 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
   - ბიოგრაფია (CV);
   - სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
   - შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
   - ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
   - პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - https://form.jotform.com/262945855270466

7. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე, შერჩეულ კანდიდატებთან, ჩატარდება გასაუბრება (ან საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება საჩვენებელი ლექცია).

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2026 წლის 1 დეკემბრიდან - 2026 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.** კანდიდატების საბოლოო შერჩევის ვადად განისაზღვრება **2026 წლის 10 დეკემბერი.**

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.
ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge
ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge